

ს უ რ ა თ ზ ე: ძიუდოისტთა თბილისის I საერთაშორისო ტურნირის მძიმეწონოსანთა ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი გ. ონაშვილი (მარცხნივ, ატარებს ილეთს) და ლენინგრადელი ი. ანდრონიკოვი. გაიმარჯვა ონაშვილმა. ფოტო მ. ზარგარიანისა.

•

(ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3:2

საბჭოთა ნაკრების წარმატება

კარაკასი, 9 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ვენესუელის დედაქალაქის უნივერსიტეტის სტადიონზე ანგარიშით 3:2 (2:1) დაამარცხა ტრნავის „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია).

შეხვედრა მწვავე ბრძოლაში ჩატარდა. საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. მე-16 წუთზე ხმელნიცკიმ გახსნა ანგარიში, 87-ე წუთზე კი „სპარტაკის" მცველმა დობიასმა ბურთი გაიტანა... საკუთარ კარში. მანამდე მარტინკოვიჩმა აილო კავაზაშვილის კარი. შესვენების შემდეგ გოლები გაიტანეს იმავე მარტინკოვიჩმა და გერშკოვიჩმა.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: კავაზაშვილი, ლოგოფეტი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, კისელიოვი, მუნტიანი, პაპაევი, ნოდია, პუზაჩი, ხმელნიცკი (გერშკოვიჩი).

ფლორენცია კანდიდატთა რიცხვს გამოაკლდა

რომი, 9 თებერვალი. 1976 წლის ოლიმპიური თამაშები ფლორენციაში არც ერთ შემთხვევაში არ ჩატარდება. ამის შესახებ განაცხადა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დ. ონესტიმ. მან თქვა, რომ დაგვიანდა იმ საბუთების წარდგენა, რომლებიც მყარ ნიადაგს შეუქმნიდნენ ამ ქალაქის წინადადებას XXI ოლიმპიადის მასპინძლობის თაობაზე. „სხვა სიტყვებით,—აღნიშნავს გაზეთი „უნიტა", —არ იყო უზრუნველყოფილი ფინანსური გარანტია მთავრობის მხრიდან, რომელსაც მოითხოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ფლორენციის კანდიდატურის განხილვისთვის".

„თავი იმით უნდა დავიმშვიდოთ, — განაცხადა ონესტიმ, —რომ შეიძლებოდა კენჭისყრის შედეგები ჩვენთვის სასურველი მაინც არ ყოფილიყო. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარების შემდეგ აგებული რჩება უზარმაზარი შენობები. მათ შეეძლოთ დაერღვიათ ესთეტიკური შთაბეჭდილება ისეთ ქალაქში, როგორიც ფლორენციაა".

ამგვარად, 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებს სამი კანდიდატი: მოსკოვი, მონრეალი და ლოს-ანჯელესი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია მაისში გადაწყვეტს, ვინ იქნება XXI ოლიმპიადის მასპინძელი.

(საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 28 (4022) 10 თებერვალი, სამშაბათი. 1970 წ. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინგლისელთა ჰეგემონია დაემხო

ლ. პახომოვა — ა. გორშკოვის ტრიუმფი ● ო. ნეპელა — ევროპის ორგზის ჩემპიონი

ლენინგრადი, 9 თებერვალი. გუშინ ადგილობრივ სპორტის სასახლე „იუბილეინიში" დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ბოლო დღეს გაიმართა ვაჟთა სრიალი ნებისმიერი პროგრამით. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მოასპარეზე კარგად დაუფლებია სპორტის ამ მიმზიდველი, მაგრამ მეტისმეტად რთული და შრომატევადი სახეობის ილეთებსა და ნაერთებს. სამმაგი ბრუნი ახლა, როგორც წესი, ყველა ფიგურისტს აქვს შეტანილი თავის გამოსვლაში და თავისუფლად, თანაც მაღალ ნახტომში ასრულებს. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო მასპინძელი ი. ოვჩინიკოვი, რომლის ტემპიანმა, დახვეწილმა და გაბედულმა სრიალმა ყველაზე მაღალი შეფასებები დაიმსახურა. მაგრამ „სკოლაში" მოკრძალებული XL ადგილის გამო ოვჩინიკოვი საბოლოოდ VII ადგილს დასჯერდა.

I ადგილი დამსახურებულად დაიკავა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ო. ნეპელამ, რომელმაც სავალდებულო პროგრამის პირველივე ფიგურიდან მტკიცედ იგდო ხელთ ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია იგი. II ადგილზეა ფრანგი პ. პერა, III — გ. ცოლერი (გდრ).

სსრ კავშირის ჩემპიონი ს. ჩეტვერუხინი მეხუთეა. VI ადგილზეც საბჭოთა ფიგურისტია — ს. ვოლკოვი.

წინადღით საუცხოო სანახაობა გამართეს ყინულზე სპორტული ცეკვების ოსტატებმა. საბჭოთა წყვილის — ლ. პახომოვასა და ა. გორშკოვის უპირატესობა თავიდან ბოლომდე აშკარა იყო. მათ ბრწყინვალედ, პირდაპირ პოეტური შთაგონებით შეასრულეს ურთულესი ელემენტებით აღსავსე ცეკვები და გამარჯვებულთა კვარცხლბეკის პირველი საფეხურიც დაიკავეს. II ადგილზე გავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესანიშნავი დუეტი — დაძმა ა. და ე. ბუკები. III ადგილი მოიპოვეს მოსკოველებმა ტ. ვოიტიუკმა და ვ. ჟიგალინმა.

საბჭოთა წყვილების წარმატებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სპორტულ ცეკვებში ინგლისელთა ჰეგემონიას საბჭოურმა სკოლამ საბოლოოდ მოუღო ბოლო. ამაში ერთობ დიდი წვლილი შეიტანა პახომოვა—გორშკოვისა და ვოიტიუკ — ჟიგალინის მწვრთნელმა, რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა ე. ჩაიკოვსკაიამ.

დღეს მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები.

• • •



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ო. ნეპელა; ლ. პახომოვა — ა. გორშკოვი.

ფოტო ვ. გალაქტიონოვისა.

კიევში გამარჯვებულნი:

მოროზოვა, ჩუვირინა, იანსონე, მეტრეველი, კაკულია, ლიხაჩოვი

გუშინწინ კიევში დამთავრდა ზამთრის საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თბილისელებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ.

ქალთა ერთეულების ნახევარფინალში ერემეევამ მოულოდნელი და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჩუვირინასთან — 6:4, 6:0. ფინალის მეორე საგზური მოროზოვამ მიიღო: მან იოლად სძლია კულს — 6:2, 6:2. ფინალში მოროზოვამ კიდევ უფრო იოლად მიაღწია მიზანს — ერემეევა თითქმის „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა — 6:1, 6:0.

ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში მეტრეველი ლამას შეხვდა. თბილისელი ჩოგბურთელი კიევის ხისსაფარიან კორტებს აქამდე როგორღაც ვერ ეგუებოდა: იმდენად უჭირდა თამაში, რომ მეოთხედფინალში კინაღამ დამარცხდა ახალგაზრდა ხოჟელ პესჩანკოსთან. ლამასთან შეხვედრაში კი მეტრეველმა გამარჯვება იზეიმა — 6:2, 8:6, 6:2. მასთან ფინალში თამაშის უფლება უბრძოლველად მოიპოვა ს. ლიხაჩოვმა, რომლის მეტოქე ლეიუსი გრიპმა ლოგინად ჩააგდო.

ფინალური შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. მეტრეველმა პირველი ხელი თითქმის უბრძოლველად დათმო (2:6), მომდევნო მოიგო (6:4) და მდგომარეობა გააწონასწორა. უკანასკნელი ორი ხელი მეტრეველმა მოიგო, მაგრამ ერთობ დაძაბულ ბრძოლაში — 8:6, 12:10.

შერეულ წყვილთა ნახევარფინალში მოროზოვამ და მეტრეველმა დაამარცხეს კული და სიმსონი (6:4, 4:6, 6:2), ჩუვირინამ და კაკულიამ — ისლანოვა და ლუნინი (7:5, 7:5). ფინალში კაკულიამ ჩუვირინასთან ერთად მნიშვნელოვანი და საპატიო გამარჯვება მოიპოვა მეტად ძლიერ მეტოქესთან — 8:6, 6:4, 6:3.

ვაჟთა წყვილების ნახევარფინალში კაკულიამ და პესჩანკომ დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ეგოროვსა და კოროტკოვს (4:6, 6:4, 7:5, 9:7), მეტრეველმა და ლიხაჩოვმა კი დაამარცხეს იუშკა და სიმსონი (6:3, 4:6, 6:1, 6:4).

ფინალური შეხვედრის ბედი მხოლოდ მეხუთე პარტიაში გადაწყდა; მეტრეველ—ლიხაჩოვის წყვილს ტოლი არ დაუდეს კაკულიამ და პესჩანკომ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოცდილებამ თავისი გაიტანა და გამარჯვებაც თბილისელისა და ბაქოელის შეხმატკბილებულ დუეტს ხვდა წილად — 6:4, 3:6, 4:6, 6:3, 6:4.

ქალთა წყვილების ნახევარფინალური ბრძოლა კულმა და პარმასმა მოუგეს ბაქშეევას და ჩუვირინას (6:3, 1:6, 6:3), მოროზოვამ და იანსონემ — კრიუჩკოვასა და ერემეევას (6:4, 7:9, 6:1). ფინალური ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა: მოროზოვამ და იანსონემ სწრაფად „მოათავეს საქმე" (6:3, 6:4) და პირველობაც გაინაწილეს.

ძიუდოს ბევრი მეგობარი გაუჩნდა

დებიუტმა სავსებით გაამართლა იმედები. ამიერიდან თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ძიუდომ თბილისში ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი შეიძინა. ძნელი გამოსაცნობი არაა, რამ გამოიწვია უცხო ჭიდაობის ესოდენ სწრაფი აღიარება ჩვენს ქალაქში. ძიუდო საოცრად ჰგავს ქართულ ჭიდაობას — ეს არის მისი წარმატების თავიცა და ბოლოც, ეს არის მისი პოპულარობის მთავარი მიზეზი.

თბილისში საბჭოთა ათლეტების გვერდით გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ფრანგი, გერმანელი, ჰოლანდიელი და პოლონელი სპორტსმენები. ისინი ფაქტიურად ევროპული ძიუდოს ბირთვს, მის მოწინავე ძალას, ნაღებს შეადგენენ. ამიტომაც თბილისის საერთაშორისო ტურნირმა მოახლოებული ევროპული ჩემპიონატის წინ ერთგვარი რეპეტიციის როლი შეასრულა და ამდენად, მან თავისი დანიშნულება ერთიორად გაამართლა.

რთული და საპატიო იყო გზა გამარჯვებისკენ, რომელმაც საბოლოო ჯამში ყველას ერთნაირი სიხარული მოუტანა. ზოგმა ამ ტურნირში ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა, ზოგმა სახელოვან მეტოქეებთან ბრძოლაში გამოცდილება მიიღო. ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც პირველად აიდგეს ფეხი დიდ სარბიელზე. მაგრამ, ცხადია, ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს, რომელიც ძიუდოში ნახევარფინალებიდან იწყება, მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულნი შემორჩნენ.

მსუბუქ წონაში გამარჯვებულის ვინაობა მარტყოფლიშვილ—მელნიჩენკოს ორთაბრძოლაში გაირკვა. გამოცდილი სპორტსმენი მარტყოფლიშვილი ამ ტურნირში უჯერულად იბრძოდა, ახალგაზრდა მელნიჩენკო კი პირიქით, აზარტით, შთაგონებით. მელნიჩენკომ ორჯერ მოუგო მეტოქეს: პირველად, როცა ნახევარფინალისტთა ვაკანსიები ივსებოდა, მეორედ კი — ბოლო ბრძოლა უმაღლეს დონეზე. ცხადია, ახალგაზრდა ძიუდოისტი ბედნიერი იყო ამ გამარჯვებით, ვინაიდან მას გზა გაეხსნა დიდ სპორტში.

ქვესაშუალო წონის ფინალიც სანახევროდ ქართული იყო, მაგრამ ვერც ამ წონაში ავმაღლდით უმაღლეს დონემდე: ბორჩაშვილმა პირველობა ნოვიკოვს დაუთმო, რომელიც უფრო გამიზნულად და აზრიანად იბრძოდა.

საშუალო და ქვემძიმე წონებშიც გამარჯვება ღირსეულებმა მოიპოვეს. ციუპაჩენკომ მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით შემუსრა ყველა მეტოქე, მათ შორის, ფრანგი ოფრე, და I ადგილი დაისაკუთრა. სამაგიეროდ, ქვემძიმე წონაში თანაგუნდელის დამარცხებისთვის რევანში აიღო რუჟემ. ამ მხიარულმა და მოუსვენარმა ფრანგმა ჯერ ლამაზად დასცა სარბიელზე კარამალაკი, შემდეგ კი ფინალში ასევე დამაჯერებლად სძლია გამოცდილ პოკატაევს.

მოუთმენლად ველოდით მძიმე წონის ფინალისტთა შეხვედრას. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა რიუსკამ მოულოდნელი მარცხი იწვნია ლენინგრადელ ანდრონიკოვთან, ცხადი გახდა, რომ I ადგილის ბედი საუნინ — ონაშვილის ჭიდილს უნდა გადაეწყვიტა. ეს იყო ღირსეული მეტოქეების შეხვედრა, რომელმაც გამარჯვების სასწორი გამოცდილების სასარგებლოდ გადახარა. მხოლოდ ერთხელ, ერთი წამით შეასუსტა ყურადღება ონაშვილმა. ეს დაუყოვნებლივ გამოიყენა საუნინმა და გამარჯვების ქულა აიღო.

ნ. გუგუშვილი.

* * *

ტექნიკური შედეგები

მსუბუქი წონა. 1. მელნიჩენკო, 2. მარტყოფლიშვილი, 3. კოზიცკი (სამივე — სსრ კავშირი) და შოლცი (გდრ).

ქვესაშუალო. 1. ნოვიკოვი, 2. ბორჩაშვილი, 3. მაღალთაძე და კარელი (ყველა — სსრ კავშირი).

საშუალო. 1. ციუპაჩენკო (სსრ კავშირი), 2. ოფრე (საფრანგეთი), 3. ნინიაშვილი და კასოევი (ორივე — სსრ კავშირი).

ქვემძიმე. 1. რუჟე (საფრანგეთი), 2. პოკატაევი, 3. კარადაპოლოვი და კარამალაკი (ყველა — სსრ კავშირი).

მძიმე. 1. საუნინი, 2. ონაშვილი, 3. გზირიშვილი და ანდრონიკოვი (ყველა — სსრ კავშირი).

* * *

სურათზე: ფრანგი ძიუდოისტების მწვრთნელი მ. გრიუელი ალტაცებულია რუჟეს გამარჯვებით.

ფოტო ა. ხაკოვისა.

მეგობრული შარჟები

შ. რუჟე (საფრანგეთი)

ვ. საუნინი (სსრ კავშირი)

ნახ. შ. შანიძისა.

ოსტატთა რიგებში მატება

ბაკურიანი, 9 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ზამთრის III რესპუბლიკური სპარტაკიადის ბოლოსწინა დღე მხოლოდ ერთ სახეობას — სპეციალურ სლალომს დაეთმო. ეს გასაგებიცაა: სტუმრებიანად სტარტზე 70-მდე სამთომოთხილამურე უნდა გამოსულიყო. 2-2 ცდისთვის 4 ტრასის მოწყობა და ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარება დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვდა, ფინიშზეც, სულ ცოტა, 2 ბრიგადა იყო საჭირო.

წინა საღამოს მსაჯთა კოლეგიამ წარმომადგენლებთან გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა ჯერ ვაჟთა ტურნირი დაემთავრებინათ, 25 ფინალისტი შეერჩიათ, შემდეგ კი სტარტი ქალებისთვის მიეცათ.

კოხტაგორის საბაგირო გზით დილიდანვე სპორტსმენთა ნაკადი მთის წვერისკენ მიეშურებოდა: ძნელი ბრძოლის წინ მოთელვის მიზნით იქიდან თხილამურებით ეშვებოდნენ და ისევ ზემოთ მიემართებოდნენ.

ამასობაში 550-მეტრიანი ტრასაც (სიმაღლეთა სხვაობა 320 მ, 72 კარი) გაამზადეს. შეჯიბრება დაიწყო. ტრასის გახსნა წილად ხვდა სპორტის ოსტატ ბ. კახიანს, რომელიც სადიპლომო შრომაზე მუშაობის გამო სპარტაკიადისთვის ვერ მოემზადა. პირველი დაეშვა პირველთანრიგოსანი ზ. მაკიევი (ბორჯომის „დინამო") და 51,3 აჩვენა. მაკიევის შედეგი ერთბაშად 9,8 წამით გააუმჯობესა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ე. კუნიცინმა (41,5), რომელიც მას მიჰყვებოდა. ახლა ეს შედეგი გახდა ორიენტირი. პირველ ცდაზე მისი გაუმჯობესება ვერავინ შეძლო, ყველაზე მეტად კი ლენინგრადელი ოსტატი ს. გრიშჩენკო მიუახლოვდა — 41,6.

მეორე ცდისთვის ახალი ტრასა მოაწყვეს (სიგრძე — 530 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 310 მ, 70 კარი) და ოდნავ გააიოლეს. შედეგებიც, ცხადია, უფრო მაღალი იყო. უძლიერესთა ჯგუფის მონაწილენი ამჯერად სტარტს შებრუნებული თანმიმდევრობით იღებდნენ, ამიტომ კუნიცინმა და მაკიევმა დაშვებამდე ყველას შედეგები იცოდნენ. ამ ცდაზე მაკიევმა 41,8 აჩვენა, კუნიცინმა — 36,3. მაგრამ ამ უკანასკნელს შვიდმა სპორტსმენმა აჯობა. ტრასა ყველაზე სწრაფად მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. ვალბუევმა დაფარა — 35,2.

როცა ორი ცდის შედეგები შეაჯამეს, გრიშჩენკოს საუკეთესო დრო (1.17,1) აღმოაჩნდა. კუნიცინმა მასთან 0,1 წამი წააგო. მესამე შედეგი ჰქონდა გ. ჯიჩოევს (ბორჯომის „დინამო") — 1.18,6. ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სპორტის ოსტატი გახდა ქუთაისელი რ. აკოფოვიც — 1.19,3.

ჩემპიონობის საკითხი ფინალს უნდა გადაეწყვიტა. სამაგიეროდ, ამ შეჯიბრებამ სამჭიდის შედეგები შეაჯამა. საუკეთესო აქაც გრიშჩენკო აღმოჩნდა. (25,68 საჯარიმო ქულა), მაგრამ სტუმრები ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდნენ და ამიტომ ჩემპიონობა (აბსოლუტ. ოსტატის შედეგით) ჯიჩოევს (26,30 ქულა) დარჩა. II ადგილზეა ა. სტეპანიანი (თბილისი, „დინამო") — 138,0, III — შალვა კოზანაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე") — 166,9

ქალთა სპეციალურ სლალომში (400 და 380 მ, 280 და 270 მ, 56 და 50 კარი) საუკეთესოდ გამოვიდნენ თბილისის გუნდის წევრები, პირველთანრიგოსანი ნ. ფალიანი („ბურევესტნიკი"— 1.15,2), რომელმაც სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, და სპორტის ოსტატი მ. თვაური (თბილისის ასკ)—1.16,3. მესამე იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე (ქუთაისი, „კოლმეურნე") — 1.17,6. მათ ისეთ ცნობილ სპორტის ოსტატებსაც კი აჯობეს, როგორიც არიან მოსკოველები გ. ვოლკოვა (1.23,0) და გ. სიდოროვა — 1.23,1. ქალებს მონაწილეთა სიმცირის გამო (სულ 17 სპორტსმენი) ფინალური შეჯიბრება არ ჰქონიათ და ჩემპიონობა ფალიანს დარჩა.

ფალიანი სამჭიდშიც გახდა ჩემპიონი (115,24 საჯარიმო ქულა), თუმცა მას სიდოროვამ აჯობა — 51,96. რესპუბლიკური ტურნირის მეორე პრიზიორია გოგოლაძე — — 262,64, მესამე — ზ. გავა (თბილისის „ბურევესტნიკი") — 429,34.

სამწუხაროდ, ქალთა ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან მხოლოდ ამ სამმა მოთხილამურემ შეძლო სამი სახეობის (სპეციალური სლალომი, გიგანტური სლალომი, სწრაფდაშვება) ტრასის წარმატებით გავლა. უნდა ითქვას, რომ მათ ძლიერი მეტოქე ეზრდებათ 15 წლის თ. კოზანაშვილის (ბორჯომის „დინამო") სახით. გოგონათა შორის „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ორგზის ჩემპიონმა სპეციალურ სლალომში IV ადგილი დაიკავა.

სპარტაკიადის ბოლო დღე. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა — ესტაფეტები. ქალები 3×5 კმ-ზე დარბოდნენ, პირველი ჯგუფის გუნდების ვაჟები — 4×10, ხოლო მეორეჯგუფელები — 3×10 კმ-ზე.

ქალთა შეჯიბრების პირველ ეტაპზე თბილისელი ფ. ოსიპოვა დაწინაურდა. უახლოეს მეტოქეს — მესტიელ ნ. რატიანს მან 56 წამით აჯობა. მაგრამ მესტიელმა დ. ქორქოლიანმა მეორე ეტაპზე მდგომარეობა ჯერ გამოასწორა, შემდეგ კი გუნდი 4 წუთით დააწინაურა. თბილისელებს მესამე ეტაპზე 5 და 10 კმ-ზე რბენაში რესპუბლიკის ჩემპიონი ა. კაზაკოვა გამოჰყავდათ. იგი მიხვდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა, II ადგილს კი ისედაც აღარავინ ეცილებოდათ და თავი არ მოუკლავს, არც უცდია მესტიელი ლ. ჯაფარიძისთვის გაესწრო.

გაიმარჯვა მესტიელთა ტრიომ — 1:28.24. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები—1:34.14, III— ქუთაისელები — 1:39.40.

I ჯგუფის ვაჟთა კოლექტივებშიც მესტიელთა კვარტეტმა (ა. ნავერიანი, შ. გერლიანი, რ. ჯაფარიძე, ზ. გულბანი) იმარჯვა — 2:53.11. აქ საინტერესო მხოლოდ მეოთხე ეტაპი იყო, სადაც მესტიელთა ღირსებას 15 და 30 კმ-ზე რბოლაში გამარჯვებული ზ. გულბანი იცავდა, ხოლო თბილისელებისას — ამავე დისტანციებზე მეორე პრიზიორი იაგო ნასყიდაშვილი. ამჯერად ეტაპი ნასყიდაშვილმა გულბანზე 44 წამით სწრაფად გაირბინა, მაგრამ მისი გუნდი მაინც II ადგილზე დარჩა — 2:56.14. III ადგილზეა ბორჯომის რაიონის კოლექტივი — 3:13.05.

II ჯგუფის გუნდებში ადგილები ასე განაწილდა: ბოგდანოვკის რაიონი — 2:25.14, სამხრეთ ოსეთი — 2:34.22, ქუთაისი — 2:37.13.

სპარტაკიადის დასკვნითი აკორდი იყო ვაჟთა სპეციალური სლალომის ფინალი, რომელსაც ისევ კოხტაგორა მასპინძლობდა. 400 და 380-მეტრიან ტრასებზე 62 და 60 კარი მოაწყვეს. ბ. კახიანმა ამ შეჯიბრებაში უკონკურსოდ ასპარეზა და მეოთხე შედეგიც (1.14,9) აჩვენა. ჩემპიონობა ჯიჩოევს დარჩა — 1.13,9. მას მხოლოდ ვალაბუევმა (1.10,2) და ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ვ. ორლოვმა (1.10,5) აჯობეს. II ადგილი ხვდა შალვა კოზანაშვილს — 1.18,3, III — სტეპანიანს — 1.18,4. ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, შოთა კოზანაშვილი (ბორჯომის „დინამო") — 1.20,4, ვ. მიქაბერიძე (თბილისი, „კოლმეურნე") — 1.21,5 და აკოფოვი — 1.24,2.

სპარტაკიადა დამთავრდა. I ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა — 22,5 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა მესტიის რაიონი — 30,5, III — ბორჯომის რაიონის გუნდი — 36. ამბროლაურელებმა 61 ქულა დააგროვეს. II ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ქუთაისი — 29, II. სამხრეთ ოსეთი—74, III. ცაგერის რაიონი — 77.

უნდა აღინიშნოს შეჯიბრების ორგანიზატორების კარგი თაოსნობა. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება ციგებით მთიდან დაშვებაში ჩვენში ახლა იკიდებს ფეხს. საქართველოს სპორტსმენები შარშან და შარშანწინ საკავშირო ტურნირშიც მონაწილეობდნენ, წელს კი არასოდეს უასპარეზიათ და ახლა, სპარტაკიადის ბოლო დღეს, საჩვენებელი შეჯიბრება მოეწყო, გაისისთვის კი ბაკურიანში ტრასა აიგება და ეს სახეობა რესპუბლიკური ჩემპიონატის პროგრამაში შევა.

რა გვიჩვენა სპარტაკიადამ? გულახდილი ვიყოთ. სამთომოთხილამურე ვაჟთა გუნდში საგანგაშო არაფერია, ტრამპლინიდან ხტომაშიც ჩანს პერსპექტიული ახალგაზრდობა, მაგრამ ქალთა სამთო სახეობებში თითო-ოროლა ნიჭიერი გოგონათი, რომლებიც ბორჯომისა და მესტიის რაიონებმა გამოიყვანეს, შორს ვერ წავალთ. რბოლებში ბევრი აშკარად მოუმზადებელი სპორტსმენი გამოვიდა სარბიელზე. ონის, ამბროლაურის, ცაგერის რაიონების გოგონებს ვერაფერს დავემდურებით. მაგალითად, გლოლელები (ონის რაიონი) ლ. ბიჭაშვილი და ნ. ბაღაშვილი კარგ იმედს იძლევიან, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ რაიონებში სათხილამურო სპორტის აღმავლობისთვის, წარმოდგენას გვაძლევს მესტიის სპორტსკოლის დირექტორის გ. ჯაფარიძის ინტერვიუ.

— მესტიაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის ჯგუფების გახსნით კარგი საქმე გაკეთდა, — თქვა გ. ჯაფარიძემ. — ინვენტარიც გაჩნდა, მაგრამ ეს სკოლა ხომ ყველას ვერ დააკმაყოფილებს, ცეკავშირი კი რაიონებს ინვენტარით სათანადოდ არ ამარაგებს. ხელოვნური ტრამპლინის დადგმა გაჭიანურდა, ბუნებრივი ტრამპლინი რეკონსტრუქციას მოითხოვს, არ გვაქვს საბაგირო გზა.

მესტიის რაიონი გამონაკლისი როდია. კარგი იქნებოდა, თუ ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო, ისევე როგორც ბაკურიანში, საბაგირო გზებს მოაწყობდა სხვა რაიონებშიც, სადაც მას ბაზები აქვს.

დასამალი არც ისაა, რომ რესპუბლიკის ბუნებრივი შესაძლებლობები სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის სათანადოდ არ არის გამოყენებული.

ო. შელაშვილი.

* * *

სურათზე: ვაჟთა ესტაფეტის გადაცემის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

ავტოგრაფი თბილისის ზღვაზე

ოთახიდან, სადაც ჩვენ ვისხედით, თბილისის ზღვა ჩანდა. ის ძალიან ახლოს იყო და მართლაც ზღვასავით ღელავდა — ძლიერი ქარი თითქოს ცხვრის ფარას მიერეკებოდა წყლის ზედაპირზე.

ყველანი გატაცებით ვუსმენდით ძვირფას სტუმარს, კოსმოსის ერთ-ერთ გმირს, ხომალდ „სოიუზ-6"-ის მეთაურს გიორგი სტეფანეს ძე შონინს. საუბრის თემა მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ახლა, როცა აღელვებულ ზვირთებს შევცქეროდით, შონინმა კოსმოსური სივრცეების პირველი დამპყრობი იური გაგარინი გაიხსენა.

— იურის თავდავიწყებით უყვარდა საწყლოსნო თხილამურებით სრიალი და სპორტის ეს მშვენიერი სახეობა ყველას შეგვაყვარა. მუდამ ასე იყო: თვითონ მოეწონებოდა რაიმე, მანამ არ მოისვენებდა, სანამ ჩვენც — მის მეგობრებს არ გადაგვდებდა თავის გატაცებას.

შონინი წუთით ჩაფიქრდა, მერე ნაღვლიანი ხმით განაგრძო:

— მისი დაკარგვით ვეებერთელა დანაკლისი განვიცადეთ. საოცრად ენერგიული, დაუდეგარი სულის ადამიანი იყო, ნაღდი, ხალასი ძმაკაცი. გამუდმებით ზრუნავდა ჩვენთვის, ჩვენი ოჯახების დაახლოებისთვის. წარმოუდგენლად მოუღლელი იყო მეგობრობაში, საქმეში, გართობაში. ყველაფერს გატაცებით აკეთებდა — მთელის გულითა და სულით. დასვენებაც მთელი არსებით იცოდა, ყველას აგვიყოლიებდა. ყოველ შაბათს ალიონზე დაგვადგებოდა თავს — სანადიროდ მივდიოდით. შაბათ-კვირას ვიკარგებოდით ტყეში, ხან კურდღელს დავდევდით, ხან ტახს, ხანაც ფრინველს... მისი დაღუპვის შემდეგ ერთხელაც აღარ გვინადირია, როგორღაც ვერ მოვაბით თავი. ეს მისი დაწესებულია, კოსმონავტები ოჯახებითურთ ყოველ ახალ წელს ერთად რომ ვხვდებით ჩვენს ქალაქში.

უსაზღვრო გულითადობით ლაპარაკობდა შონინი თავის დაღუპულ მეგობარზე, დიდი სიყვარული და სევდა იყო ჩაქსოვილი კოსმოსში დედამიწის პირველი დელეგატის გახსენებაში.

ქარი ისევ ძლიერად ჰქროდა და თითქოს ცხვრის ფარას მიერეკებოდა თბილისის ზღვის ზედაპირზე.

— ერთხელ იურიმ უცხოეთიდან სკიკრაფტი ჩამოიტანა — ეს პატარა აპარატია, რომელიც წყალმოთხილამურეს ემსახურება. აი, ასეთია (შონინმა სკიკრაფტი დახაზა): წინ ერთი ციცქნა სამკუთხა



ნავია ძრავისთვის, მერე მოტოციკლის მსგავსი საჭე აქვს, — მარჯვნივ „აქსელერატორია", მარცხნივ კი ღილაკი, რომლის დაჭერითაც სახელური უმალვე სცილდება ძრავიან ნავს... ძალიან კარგია ეს სკიკრაფტი. მანაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი კოსმონავტების სპორტული ცხოვრების პროგრამაში.

...რამდენი ჩინ-მედალი აქვს და რა უბრალოა! სწორედ ამიტომ იმსჭვალები მისდამი ესოდენ დიდი სიმპათიითა და პატივისცემით. შონინი ენაწყლიანი მოსაუბრეა და მეტისმეტად გახარებულია საქართველოში ჩამოსვლით. იგი შვებულების ნაწილს ჩვენში გაატარებს და მოუთმენლად ელის სამთო თხილამურებზე შედგომას, ბაკურიანში.

— სპორტი კოსმონავტების ცხოვრებისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მომზადების გეგმაში შედის თხილამურები, მძლეოსნური კროსები (დიდებულია ტყეში სირბილი!), ფრენბურთი, ცურვა, წყალში ხტომა (ჩვენ კარგი დახურული აუზი გვაქვს), ბატუტი. ვესტიბულარული ვარჯიში ხომ აუცილებელია ჩვენთვის.

— თქვენ რა უფრო გიტაცებთ?

— კალათბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი, ფეხბურთი. ესაა, რომ ჰოკეის თამაშს არ გვანებებენ მოსალოდნელი ტრავმების შიშით. მძლეოსნობაც მიყვარს — საშუალო მანძილებზე რბენა, მაგალითად, 1500 მეტრზე. კროსს ახლაც სიამოვნებით ვეწაფები, ბრასის სტილით ცურვაში კი II თანრიგი მქონდა. ისე კი, კარგად მოგეხსენებათ: კოსმონავტი ფიზიკურად სავსებით სრულყოფილი ადამიანი უნდა იყოს... ამერიკელი კოსმონავტებიც თვალსაჩინო ადგილს უთმობენ სპორტულ მეცადინეობას. კარგი ბიჭები არიან. ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობაა. ჩვენს ქვეყანაში ბორმანის სტუმრობის შემდეგ უცხოეთში შევხვდი ამერიკის შეერთებული შტატების კოსმონავტიკის სპეციალისტებს. ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს — მეუბნებოდნენ, ახლა ჩვენ დაგვპატიჟეთ საბჭოთა კავშირშიო. როგორც ჩანს, ეს ბორმანის „აგიტაციის" ნაყოფი იყო. ამ კოსმონავტის დასახასიათებლად ერთ დეტალს მოგითხრობთ. ერთხელ იგი თავის მეუღლესთან ერთად ჩვენს მუზეუმში წავიყვანეთ, რომელიც დიდი ინტერესით დაათვალიერეს. უეცრად ბორმანმა მაჯიდან საათი მოიხსნა და გვთხოვა, უარი არ მითხრათ, მუზეუმს მსურს დარჩესო (ამ საათით მან ორჯერ იფრინა კოსმოსში, მეორედ — „აპოლონით" შემოუარა მთვარეს). მის ცოლს სიცილი აუტყდა. ჩვენ, ცოტა არ იყოს, გაგვაოცა ამ საქციელმა, — გვეგონა, ენანებაო. მაგრამ თურმე რაში ყოფილა საქმე: ამ საათში ბორმანს ამერიკაში ერთმა მილიონერმა დიდძალი ფული შესთავაზა, მაგრამ ბორმანმა ვერ დათმო თავისი „კოსმოსური თანამგზავრი". ბორმანის მეუღლის სიცილიც უკვე სხვა შინაარსით წარმოგვიდგა...

კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით. გარეთ რომ გამოვედით, ისევ ძლიერად ჰქროდა ქარი და თითქოს ცხვრის ფარას მიერეკებოდა თბილისის ზღვის ზედაპირზე.

— რა საუცხოო იქნება აქ ზაფხულში საწყლოსნო თხილამურებით სრიალი, — თქვა შონინმა. — იურის სკიკრაფტითაც დიდებულია აქ განავარდება..

მ. პაპაბაძე.

* * *

„ლელოს" მკითხველებს სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, პოლკოვნიკმა გ. შონინმა აი, ეს ავტოგრაფი დაუწერა:

Желаю от всего сердца больших успехов спортсменам Грузии, а читателям „Лело" болельщикам" волнующих спортивных времен

5.02.70 г. Шонин

გასულ შაბათს გ. შონინი სტუმრად ეწვია თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელებს მათს საწვრთნელ ბაზაზე დიღომში. დინამოელებმა საპატიო სტუმარს ავტოგრაფებიანი ბურთი უსახსოვრეს.

სურათზე: დინამოელთა უფროსი მწვრთნელი გ. ჩოხელი (მარცხნივ) და გუნდის კაპიტანი ს. მეტრეველი გმირ კოსმონავტ გ. შონინთან ერთად. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფინიშის სწორზე გავიდნენ

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. VIII ტური. ს. ჩეჩელიანი — მეგრელიშვილი 0:1, ვ. ხემიონოვი — თ. ალაბეგაშვილი 1:0, მ. სანაძე—დ. ჯანოევი 0,5:0,5, ს. ელბაქიძე — მ. თხელიძე 1:0, გ. ციხელაშვილი — ზ. მიქაძე 1:0, ე. ბელქანია — ნ. ჩახოიანი 0:1, ვ. მეჩითოვი — თ. ლომაია 0,5:0,5, მ. ლევინი — ე. მიქაელიანი 1:0.

IX ტური. მიქაძე — ჩეჩელიანი 0:1, მეგრელიშვილი — ხემიონოვი 0:1, ალაბეგაშვილი — სანაძე 1:0, ჯანოევი — ელბაქიძე 1:0, თხელიძე — ლევინი 0:1, ჩახოიანი — ციხელაშვილი 1:0, ლომაია — ბელქანია 1:0, მიქაელიანი—მეჩითოვი 1:0.

X ტური. ჩეჩელიანი — ჩახოიანი 0,5:0,5, ხემიონოვი — მიქაძე 0:1, სანაძე — მეგრელიშვილი 0:1, ელბაქიძე — ალაბეგაშვილი 1:0, თხელიძე — ჯანოევი 0:1, ციხელაშვილი — ლომაია 0:1, ბელქანია—მიქაელიანი 0:1, ლევინი — მეჩითოვი 0,5:0,5.

XI ტური. ლომაია — ჩეჩელიანი გადაიდო, ჩახოიანი — ხემიონოვი 0:1, მიქაძე — სანაძე 1:0, მეგრელიშვილი—ელბაქიძე 0,5:0,5, ალაბეგაშვილი — თხელიძე 0:1, ჯანოევი—ლევინი 0,5:0,5, მიქაელიანი—ციხელაშვილი 0:1, მეჩითოვი—ბელქანია 1:0.

გადადებული პარტიების დამთავრება. ხემიონოვი—თხელიძე 1:0, მიქაძე — ჩახოიანი 0,5:0,5, მეგრელიშვილი—ბელქანია 0,5:0,5, ბელქანია — მიქაძე 0:1.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ჩეჩელიანი — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ჯანოევი — 7,5, ლევინი — 7 (1), ლომაია — 6,5 (3), მიქაძე — 6,5 (1), ციხელაშვილი — 6,5, მიქაელიანი და ხემიონოვი — 6-6.

ჩემპიონატის ეკვატორი უმტკივნეულოდ არავის გადაულახავს. წაგების სიმწარე ყველამ იწვნია. მაგრამ მარცხმა სხვადასხვანაირად იმოქმედა მებრძოლთა სულიერ განწყობაზე. მაგალითად, ბელქანია ისე დაიბნა, რომ ზედიზედ ხუთი პარტია წააგო.

ფინიშის მოახლოებამ ერთობ გაამძაფრა სპორტული ჭიდილი. ქების ღირსია ლევინი, რომელიც შეუპოვრად მიიწევს წინ. სხვათა შორის, პირველ ორ ტურში წაპორძიკების შემდეგ მას პარტია არ წაუგია.

მონდომებით თამაშობს ჯანოევი. ჩეჩელიანთან მარცხის შემდეგ მან ხუთ შეხვედრაში 4 ქულა მოაგროვა.

ერთპიროვნული ლიდერი ჩეჩელიანი არ ცხრება, თუმცა შთაბეჭდილება რჩება, რომ დაიღალა: მეგრელიშვილთან წააგო VIII ტურში გამოტოვებული პარტია, ჩახოიანთან კი ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. ლომაიასთან მას ოდნავ უკეთესი პოზიცია აქვს, მაგრამ აქაც ყაიმია მოსალოდნელი.

კარგად იბრძვის ოსტატი ლომაია. დედაქალაქის ჩემპიონის სახელს ალბათ მხოლოდ ის შეეცილება ჩეჩელიანს. ლომაია უშეღავათო მებრძოლია და მასთან თამაში ყველასთვის გამოცდაა.

ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ მიიწევს წინ მიქაძე.

როგორც ჩანს, ელბაქიძე შეეგუა ჩემპიონატის სპორტული ბრძოლის ატმოსფეროს და ბოლო ოთხ ტურში 2,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვს მოჭადრაკე გოგონა მ. სანაძეს. მან თავის აქტივს ჯანოევთან ყაიმი შემატა.

XII ტურით ჩემპიონატში ფინიში იწყება. დარჩენილმა ხუთმა ტურმა უნდა დაასახელოს საქართველოს ჩემპიონატის ფინალის 5 მონაწილე.

თ. ნინოშვილი.

ახალი ამბები

● მოდენა, 8 თებერვალი. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და ადგილობრივ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდს შორის. ანგარიშით 3:0 (15:10, 15:1, 15:0) გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

● მოსკოვი 8 თებერვალი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია საიპოდრომო ავტორბოლამ სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატმა — შეჯიბრების საყურებლად 25 ათასი კაცი მოვიდა. „მოსკვიჩის" მანქანების კლასში ყველას აჯობა ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. ასტაფიევმა. „ვოლგის" მძღოლთა შორის პირველი იყო მოსკოვის მე-4 ავტოკომბინატის შოფერი გ. დობროვი.

● კიროვი, 8 თებერვალი. სსრ კავშირის იუნიორთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა პერმელმა „მფრინავმა მოთხილამურემ" ს. ზონტოვმა. მისი საუკეთესო ნახტომი 81 მეტრს უდრის. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი იყვნენ საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

● დუსეტოსი, 8 თებერვალი. ლიტვის ამ პატარა ქალაქში 30 ათასი მაყურებელი მიიზიდა მარხილებით რბოლამ. ეს ძალიან პოპულარული შეჯიბრებაა და უკვე 150 წელზე მეტია იმართება. პირველივე ვარბენზემა რეკორდით გაახარეს მაყურებლები: შირვინტსკის რაიონის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჟარნაუსკასმა მარხილით, რომელშიც ცხენი აპლომბი იყო შებმული, 1600 მ 2 წუთსა და 19,1 წამში დაფარა. ამ შედეგით ჟარნაუსკასმა ლიტვის სსრ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

● პორი, 8 თებერვალი. ფინეთის ამ ქალაქში ზემძიმე წონის ძალოსანმა კ. ლაპლენრანტამ 570 კგ დააგროვა. მან 190 კგ აწია, 170 კგ აიტაცა და 210 კგ აჰკრა. ეს სკანდინავიის ახალი რეკორდებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

პირველი საგზურის მფლობელი

მას შემდეგ, რაც ნაკრების ბირთვი შეარჩიეს, ფინელ მოთხილამურეთა მწვრთნელებმა სხვა ქვეყნების სპორტსმენებსაც გაუღეს კარი. ლიეტოში გამართულ ასპარეზობაში პოლონელებიც მონაწილეობდნენ და 10 კმ-ზე ქალთა რბენაში იმარჯვეს კიდეც (ვ. ბუდნა — 37.15,0). სუომის სპორტსმენები ამ მარცხმა გამოაფხიზლა. მათ კუსანკოსკში 5 კმ-ზე რბენაში აიღეს რევანში: ხ. პუსულამ 16.37,0 აჩვენა, ხოლო ჰ. ტაკალომ — 16.42,0. ბუდნა III ადგილს დასჯერდა — 17.14,0.

ლიეტოში ჩატარდა შეჯიბრებები 15 კმ-ზე რბენასა და ხტომაშიც. რბენაში რ. ხისტოლაინენმა იმარჯვა — 50.56,0, ტრამპლინიდან ხტომა კი ტ. კიაიუპკიომ მოიგო — 231,3 ქულა (77 და 77,5 მ).

მაგრამ ეს ტურნირები მაინც მხოლოდ ძალთა მოსინჯვა იყო. ფინეთის ნაკრების დაკომპლექტებაში გადამწყვეტი სიტყვა ქვეყნის ჩემპიონატს ეკუთვნის. მისი პირველი შეჯიბრება კაიიაანში ჩატარდა 50 კმ-ზე რბენაში. აქ ყველას აჯობა კ. ოიკარაინენმა — 2:59.22, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის საგზურიც მიიღო.

გუნდი დაკომპლექტდა

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი" იტყობინება, ბოროვეცის მიდამოებში გაიმართა ქვეყნის მოთხილამურეთა ჩემპიონატი და ნაკრებიც დაკომპლექტდა. გუნდში შევიდნენ სამთომოთხილამურეები პ. პაპანგელოვი, პ. ანგელოვი, მ. პაპანგელოვი, დ. დიმიტროვა, მ. გულშკოვა, კ. ბრენზალოვა; მორბენლები პ. პანკოვი, ს. მიტკოვი, ჟ. კირილოვი, ვ. სტოიანოვი, დ. გილბოვი, ა. დობრიკოვა, ნ. ვასილევა, ვ. პანდევა, ვ. პაშანსკა; ორჭიდელები პ. ლამბოვი, ც. ლოზანოვი; ტრამპლინიდან მხტომელები გ. გელოვი და გ. გიუდუროვი.

შემდეგ ნაკრებმა ძალა პამპოროვოში შეამოწმა, სადაც საერთაშორისო შეხვედრაში საასპარეზოდ ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის სპორტსმენები იყვნენ მიწვეული. 3×10 კმ-ზე ესტაფეტა გდრ-ის ტრიომ მოიგო — 1:36.05. ქალთა ესტაფეტაში 3×5 კმ-ზე მასპინძლებმა იმარჯვეს — 59.44,6. მასპინძლების უპირატესობით წარიმართა 5 კმ-ზე რბენაც. აქ ყველას აჯობა ნ. ვასილევამ — 18.44,0. 15 კმ-ზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებაში პირველობა ე. რეზაჩს (ჩეხოსლოვაკია) დარჩა — 50.47,7. მეორე იყო ჰ. გროზი (გდრ) — 50.54,6, III — ლ. ტოსკოვი (ბულგარეთი) — 51.32,2.

ვაჟთა სწრაფდაშვებაში (ტრასის სიგრძე — 2100 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 505 მ, 10 კარი) იმარჯვა ჰ.-პ. ფინმა (საფრანგეთი) —1.33,29. პ. ანგელოვი მხოლოდ მეოთხე იყო — 1.36,24. ქალთა ტურნირში (1700 მ, 420 მ, 2 კარი) I ადგილი დაიკავა დიმიტროვამ — 1.35,72.

ახალ ამპლუაში

გფრ-ის მოთხილამურეები მზადებას ამთავრებენ. მათ ძალთა ბოლო შემოწმება მოაწყვეს ჯერ რაიტ-იმ-ვინკელში, სადაც 10-გრადუსიან ყინვაში საერთაშორისო ტურნირი გამართეს რბენაში, შემდეგ კი ბერხტესგადენში ბიატლონში შეეჯიბრნენ სკანდინაველებს.

რაიტ-იმ-ვინკელში მასპინძელთა ტრიომ (გ. გერინგი, ლ. ვაიზერი, ვ. დემელი) 3×10 კმ-ზე ესტაფეტაში იმარჯვა — 1:30.45,0. სამაგიეროდ, 15 კმ-ზე რბოლაში საპრიზო ადგილი მხოლოდ დემელმა მოიპოვა — 51.04,0. მან 1 წამით აჯობა ი. იაგის (შვეიცარია) და II ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა მეორე შვეიცარიელმა ე. გეეზერმა — 50.14,0.

ბერხტესგადენში დემელი ახალ ამპლუაში გამოვიდა — ბიატლონში სცადა ძალა და საუკეთესო დროც (1:04.59,6) აჩვენა, თანაც, შესანიშნავადაც ისროდა (სროლაში იგი მხოლოდ 1 წუთით დაჯარიმდა). II ადგილი მოიპოვა რ. ტვეიტენმა (ნორვეგია), რომელსაც ცენტრისთვის არც ერთი ტყვია არ აუცდენია — 1:05.59,8. III ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი მ. სოლბერგი (ნორვეგია) — 1:06.53,8.

გუნდურ ჩათვლაში ნორვეგიელებმა იმარჯვეს — 3:24.08,9. II ადგილზე გავიდნენ ფინელები — 3:25.54,6, III — მასპინძლები — 3:25.57,5.

ვიდრე ნორვეგიელი ბიატლონისტები აქ ასპარეზობდნენ, მელდალში ჩატარდა ნორვეგიის პირველობა 50 კმ-ზე რბოლაში. ქვეყნის ჩემპიონობა პირველად მოიგო რ. ერმსტადმა — 3:04.53,0. იგი ჩეხოსლოვაკიაში წავა.

ბოლო რეპეტიცია

შვედებმა თავიანთ მოთხილამურეებს ბურლინგში მოუყარეს თავი და დაიწყეს ბოლო რეპეტიცია — ქვეყნის ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებამ საბოლოოდ უნდა შეარჩიოს კანდიდატები ნაკრებისთვის, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ტატრებში იასპარეზებს. პროგრამის პირველი სახეობა 30 კმ-ზე რბენა იყო. 10 კმ-ის შემდეგ ლიდერობდა გამოცდილი სპორტსმენი ლ.-ი. ოსლუნდი, მაგრამ საბოლოოდ იგი III ადგილს დასჯერდა — 1:38.47,7, ო, ვინგსკურეგს ოსლუნდი 4,2 წამით ჩამორჩა. პირველობა მოიგო ა. ლილიამ — 1:37.33,2.

შრანცი მდგომარეობას ასწორებს

სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამით მორიგი შეჯიბრებები კრანსკაგორაში (იუგოსლავია), სენ-ჟერვესა და მეჟევში (საფრანგეთი) ჩატარდა.

კრანსკაგორაში სპეციალურ სლალომში „ვიტრანსის" პრიზი გათამაშდა. ვაჟთა შეჯიბრების 550-მეტრიან ტრასაზე 69 კარი იდგა. ყველას აჯობა ფრაიმ (შვეიცარია) — 1.56,88. II ადგილზეა ბორგე (ნორვეგია) — 1.57,35, III — ჯოვანიოლი (შვეიცარია) — 1.57,45.

ერთი დღის დასვენების შემდეგ სპორტსმენები გიგანტურ სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ტრასის სიგრძე 3000 მეტრზე მეტი იყო. ჯოვანიოლიმ ამ მანძილის გავლას 3.16,64 მოანდომა და პირველობა მოიგო: II ადგილი ხვდა რიუსელს — 3.17,41, III — მოდიუს (ორივე — საფრანგეთი) — 3.18,60.

კრანსკაგორადან ვაჟებმა მეჟევში გადაინაცვლეს და იქ სწრაფდაშვებაში იასპარეზეს. ბედმა თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ შრანცს (ავსტრია) გაუღიმა — 2.12,80. II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი მესნერი — 2.13,83. მესამე იყო დიუვილარი (საფრანგეთი) — 2.14,35.

საერთო ჩათვლაში შრანცი თანდათან ასწორებს მდგომარეობას. ახლა მას 106 ქულა აქვს და III ადგილზეა. ლიდერობს რიუსელი — 135. მეორე შედეგი აქვს ტეონის (იტალია) — 107. IV ადგილზეა ჯოვანიოლი — 96.

ქალები ბადგასტეინში სწრაფდაშვებაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, სან-ჟერვეში — სპეციალურ სლალომში. სწრაფდაშვებაში ყველა საპრიზო ადგილი ფრანგებმა გაინაწილეს. პირველი იყო მირი, მეორე — სტიორერი, მესამე — მაკი.

ფრანგებმა სპეციალურ სლალომშიც ისახელეს თავი. ამჯერად გაიმარჯვა ჟაკომ, რომელმაც ორი ცდის ჯამში 2.16,0 აჩვენა. მაკი და სტიორერი მომდევნო ადგილებზე არიან.

საერთო ჯამში ლიდერობს ჟაკო, რომელსაც 136 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან მაკი — 104, სტიორერი — 96 ქულა, კოჭნარი (აშშ) — 95, ლაფორგი (საფრანგეთი) — 85.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ისევ საფრანგეთის ნაკრები ლიდერობს — 1035 ქულა. ავსტრიელებს 473 ქულა აქვთ, ამერიკელებს — 352.

მამატოვი, ტიხონოვი...

ზული, 8 თებერვალი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ქალაქის გარეუბანში გაიმართა სოციალისტური სახელმწიფოების ბიატლონისტთა შეჯიბრება. გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. მამატოვმა (ნოვოსიბირსკი), რომელმაც 20-კილომეტრიანი დისტანცია სროლით 1 საათში, 18 წუთსა და 11 წამში (2 საჯარიმო წუთი) დაფარა. II ადგილზეა საბჭოთა მოთხილამურეა — მსოფლიო ჩემპიონი ა. ტიხონოვი — 1:22.47 (5).

წარმატებას მიაღწია საბჭოთა გუნდმაც: მან ყველას აჯობა 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში. ტიხონოვმა, პუზანოვმა, საფინმა და მამატოვმა ეს მანძილი 2 საათში, 7 წუთსა და 32 წამში გაირბინეს.

II ადგილი დაიკავა გდრ-ის ნაკრებმა, რომელიც გამარჯვებულ კვარტეტს 10 წუთითა და 11 წამით ჩამორჩა.

III ადგილზე არიან პოლონელი ბიატლონისტები.

საბოლოოდ დადგინდა

14 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მაღალ ტატრებში სტარტი მიეცემა მსოფლიო ჩემპიონატს სათხილამურო რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომაში. საბოლოოდ გაირკვა ამ პირველობის მონაწილე საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობა. ქალთა რბოლებში სსრ კავშირის ღირსებას დაიცავენ გ. კულაკოვა (იჟევსკი), ა. ოლიუნინა (გორკი), ნ. შებალინა, ნ. ფიოდოროვა (ორივე — ლენინგრადი), ი. მიაგარი (ტარტუ), გ. პილიუშენკო (მოსკოვი). ვაჟთა ნაკრებში შევიდნენ ვ. ვედენინი, ვ. ვორონკოვი, ფ. სიმაშოვი, ვ. პოპოვი (ყველა — მოსკოვი), ვ. ტარაკანოვი (იაროსლავლი), ნ. ტერებოვი (კემეროვო), ი. სკობოვი (კიროვი).

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში გამოვლენ ვ. ბელოუსოვი, ა. ჟეგლანოვი (ორივე — ლენინგრადი), ა. ივანიკოვი (მოსკოვი), კ. წაქაძე (ბაკურიანი), გ. ნაპალკოვი (გორკი), ორჭიდში — ვ. დრიაგინი (კიროვი), ტ. ხალიანდი (ტალინი), ნ. ნოგოვიცინი (კემეროვო), ი. კაზულინი (კიროვი).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): გ. კულაკოვა, ნ. შებალინა, გ. პილიუშენკო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ჰააზეც კი გაოცდა...

ჟენევა, 9 თებერვალი. ცნობილმა საბჭოთა სტაიერმა, ვორონეჟელმა ნ. სვირიდოვმა გაიმარჯვა შვეიცარიის მუშათა სპორტული კლუბის „სატუსის" ტრადიციულ XXII კროსში. მან წვიმაში მაღალ ტემპში გაირბინა 8,5-კილომეტრიანი დისტანცია ჟენევის „შამპელის" სტადიონზე. ფინიშთან სვირიდოვმა ისეთი ბიძგი გააკეთა, რომ ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სახელგანთქმული ი. ჰააზეც (გდრ) კი გაოცდა. საბჭოთა სპორტსმენმა ფინიშის ხაზი სტარტიდან 24 წუთისა და 28 წამის შემდეგ გადაკვეთა. ჰააზე მას 18 წამით ჩამორჩა.

მესამე იყო რიგელი ა. ნურმეკივი — 24.48,0. საბჭოთა მორბენლებმა მოიპოვეს გუნდური გამარჯვებაც და გარდამავალი თასი მიიღეს. II ადგილზე არიან გდრ-ის, III — ჩეხოსლოვაკიის, IV — უნგრეთის სპორტსმენები.

იუნიორები 3,5 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის საუკეთესო იყო იტალიელი ლ. მარიეტა — 14.25,0. მასთან 3 წამი წააგო საბჭოთა მორბენალმა ს. პადერინმა. მესამე იყო ასევე სსრ კავშირის გუნდის წარმომადგენელი პ. გოლოვი — 14.38,0. საბჭოთა მორბენლები აქაც პირველობდნენ გუნდურ ჩათვლაში. II ადგილზე გავიდნენ იტალიის, III — საფრანგეთის სპორტსმენები.

(საკდესი).

20 წ

◆ მოდენა, 9 თებერვალი. მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მატჩიც მოუგო (ცვლავ — 8:0) ადგილობრივ გუნდს. ამრიგად, „მოდენა" გათამაშებას გამოეთიშა.

◆ ტულსა (აშშ), 9 თებერვალი. მუხლის ტრავმის მიუხედავად, ფიგურულ ციგურაობაში აშშ-ს ჩემპიონის წოდება მესამედ მოიხვეჭა ტ. ვუდმა. ქალთა შორის ოქროს დაეუფლა 16 წლის ჟ. ლინი.

◆ ბერლინი, 9 თებერვალი. 22 წლის მძლეოსანმა ჰ. ბრიზენიკმა (გდრ) დახურული შენობებისთვის თავისივე უმაღლესი ევროპული მიღწევა გააუმჯობესა — ბირთვი 19,97 მეტრზე ჰკრა. ევროპის ჩემპიონმა ვ. ნორდვიგმა (გდრ) ჭოკით 516 სმ სიმაღლე დაძლია.

◆ მადრიდი, 9 თებერვალი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში წლეულს პირველად გამოვიდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში, ინგლისელი ლ. დევისი. იგი 771 სმ-ზე გადახტა, რაც საუკეთესო შედეგია ევროპის დარბაზებისთვის.

ჩემპიონატიც დაიწყო

დოლომიტის ალპების ფერდობებზე

ვალ-გარდენა, 8 თებერვალი. იტალიის ჩრდილოეთში მდებარე ამ დათოვლილ ველს დოლომიტის ალპების ფერდობების ალყა არტყია, გუშინ სწორედ აქ აიღო სტარტი სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელმაც 31 ქვეყნის 250 სპორტსმენს მოუყარა თავი.

მოასპარეზეები გაითამაშებენ ჩემპიონთა ტიტულებს სლალომში, გიგანტურ სლალომში, სწრაფდაშვებასა და ალპურ მრავალჭიდში. მონაწილეთა შორის აფრიკის გარდა, ყველა კონტინენტის წარმომადგენლები არიან, ისეთი სამხრეთის ქვეყნებისაც კი, როგორიც არიან ბრაზილია, არგენტინა, ლიბანი...

ჩემპიონატისადმი დიდი ინტერესის გამომხატველი ისიც გახლავთ, რომ ამ შეჯიბრების გასაშუქებლად პრესის, რადიოსა და ტელევიზიის 600-მდე წარმომადგენელი ჩამოვიდა.

საბჭოთა სახელმწიფოს ღირსებას იცავენ ქვეყნის ჩემპიონი სლალომში ნ. მერკულოვა, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გოგონათა შორის ს. ისაკოვა, ქვეყნის ჩემპიონი გიგანტურ სლალომში ვ. მელნიკოვი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სწრაფდაშვებასა და სლალომში ა. ტორმოსინი.

შეჯიბრებები გუშინ დაიწყო — ვაჟები სლალომში შესარჩევი ასპარეზობის სტარტზე გამოვიდნენ.

ჩემპიონატი 15 თებერვალს დაუშვებს ალამს. ამ დღეს გაიმართება ვაჟთა სწრაფდაშვება.

* * *

ვალ-გარდენა, 9 თებერვალი. XXVIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრებები ვაჟთა სლალომში უსიურპრიზოდ ჩატარდა: I და II ადგილები ფრანგებმა ჟ.-ნ. ოჟემ და პ. რიუსელმა დაიკავეს. ფრანგებს მეტოქეობა მხოლოდ ამერიკელმა სტუდენტმა ბ. კიდმა (III ადგილი) და აჰაურმა მკვიდრმა, იტალიური სამთოსათხილამურო სპორტის ამომავალმა ვარსკვლავმა გ. ტენიმ (IV) გაუწიეს.

გამოცდილმა ავსტრიელმა სამთომოთხილამურეებმა შრანცმა და როფნერმა ტრასა ვერ დაამთავრეს, მესნერმა კი მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ა. ტორმოსინი, რომელიც XXV ადგილზე აღმოჩნდა — 2 ცდის ჯამში იგი გამარჯვებულს 10 წამით ჩამორჩა. ვ. მელნიკოვი ფინალში ვერც კი გავიდა.

ტექნიკური შედეგები

ტრასის სიგრძე — 775 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 197 მ, 62 კარი.

ოჟე — 99,47 წამი, რიუსელი — 99,51, კიდი — 99,53.



დერბი. ინგლისის საგრაფოების ჩემპიონატმა კროსში ქვეყნის საუკეთესო სტაიერებს მოუყარა თავი. გაიმარჯვა რ. დეილორმა, რომელმაც 12-კილომეტრიანი ატალახებული ტრასა 36 წუთსა და 45 წამში გაირბინა. II ადგილზეა ტ. რაიტი — 36.59,0, III —რ. უაილდი — 37.10,0.

ენფილდი. ინგლისის საგრაფოების კროსმენ ქალთა ჩემპიონატი ამ ქალაქში ჩატარდა. სპორტსმენებს 4 კმ უნდა გაერბინათ. იმარჯვა 17 წლის ლ. კოშელმა — 14.52,0. მან ე. ბაშს 8 წამი მოუგო.

რომი. ბელგრანოს ტბაზე გაიმართა ტრადიციული ტურნირი 24-საათიან ცურვაში. მასპინძლებმა ჯ. ტრავალნომ და ა. პოლონიმ ტბა 150-ჯერ გადაცურეს. II ადგილზეა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის დუეტი — იგლესიასი და ჰეიფი — 147, III — ჰოლანდიელთა წყვილი: ხხანსი — დე ნეისი — 144.

ბუდაპეშტი. ტაქსის მძღოლმა, ცნობილმა მორბენალმა და მოცურავემ დ. შირილამ ამას წინათ მეცამეტედ გადაცურა დუნაი ზამთარში.

სან-სებასტიანი. იპოდრომ „ლაზერტაზე" გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ კროსში 9 ქვეყნის 102 სპორტსმენი მონაწილეობდა. 10 კმ ყველაზე სწრაფად (30.35,2) გაირბინა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მ. ტეგმა (ინგლისი). მეორე იყო ა. ზადემი (ტუნისი) —30.53,2, III— ტ. რაიტი (ინგლისი) — 30.57,4.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 10 უე 03145